ჟურნალის რედაქცია იწყებს სალექციო კურსის სისტემატიურ გამოქვეყნებას საგანში „სოციალური ეკონომიკა“. ვინაიდან თემა მეტად აქტუალურია და აღნიშნულ საგანში დღემდე არ არსებობს ერთიანი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე, სალექციო კურსის გამოქვეყნება გარკვეულ სამსახურს გაუწევს სტუდენტ-ახალგაზრდობას

<u>თემა 1.</u> სოციალური პოლიტიკა როგორც საზოგადოებრივი თეორია და პრაქტიკა

მერაბ ვანიშვილი – სტუ-ს პროფესორი
ვახტანგ დათაშვილი – სტუ-ს პროფესორი
ნინო ვანიშვილი – სტუ-ს დოქტორანტი

<u>**გ ე გ მ ა:**</u>

1. პოლიტიკა როგორც სოციალური ჯგუფების ურთიერთქმედება;
2. სოციალური პოლიტიკა და სოციალური მდგომარეობა;
3. სოციალურ-შრომითი სფერო როგორც სოციალური პოლიტიკის საფუძველი;
4. სოციალური პოლიტიკისა და ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულება;
5. სოციალური საბაზრო ეკონომიკა და სოციალური სახელმწიფო;
6. საკონტროლო დავალებები და ამოცანები თვითშემოწმებისათვის;
7. რეკომენდებული ლიტერატურა.

1. პოლიტიკა როგორც სოციალური ჯგუფების ურთიერთქმედება

კონკრეტული დისწიპლინის შესწავლამდე აუცილებელია მის მიერ გამოყენებულ კატეგორიებში გარკვევა. წინაადმდეგ შემთხვევაში ძნელია რაიმე პოზიტიური შედეგის მიღწევა. მაშასადამე, თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით, უწინარეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია სოციალური პოლიტიკის კატეგორიალურ აპარატში, განსაზღვრებებში, დეფინიციებში, ასევე მისი შინაარსის ამხსნელ ცნებებში საფუძვლიანად გარკვევა.

საზოგადოება – ადამიანთა ერთობლივი ცხოველქმედების მთლიანი, ისტორიულად მდგრადი ფორმაა (სისტემაა). საზოგადოების მთლიანობა და ისტორიული მდგრადობა (კვლავწარმოებადობა, აღდგენადობა) უზრუნველყოფილია მისი შინაგანი აგებულებით, სტრუქტურით.

საზოგადოების სტრუქტურა – არის მისი აგებულება, მოწყობა, დანაწილება და ურთიერთმოქმედი ნაწილების თვისებრივად კვლავწარმოებადი ერთიანობა. იგი ინარჩუნებს, ჯერ-ერთი, საზოგადოების როგორც მთლიანის (სისტემის) ორგანიზებულობას და, მეორე, საზოგადოებაში ნაწილების მოქმედების წესს, რომელიც არ არღვევს მის სიცოცხლისუნარიანობას.

საზოგადოება, მისი სტრუქტურა შეიძლება აღქმულ იქნას სხვადასხვაგვარად. შესაძლოა შევნიშნოთ შემთხვევების, მოვლენების, ფაქტების აშკარა კავშირი; ავღნიშნოთ მსგავსება და განსხვავება, პრობლემები და ინტერესები. ასევე შესაძლოა მიზნად დავისახოთ შემთხვევათა მიზეზების, მათი განახლების ალბათობის გაგება; ამა თუ იმ პრობლემის დროის განსაზღვრა; ინტერესების, პრობლემების, შემთხვევების შინაგანი (კანონზომიერი) კავშირის ახსნა.

საზოგადოების შემეცნებაში კანონზომიერი კავშირების მიზეზებამდე დასვლა შეუძლია მხოლოდ მეცნიერულ ცოდნას, რომელიც გამიზნულია საზოგადოებაში აქტიურ მოქმედებათა მომსახურებაზე. ასეთი ქმედებები იწოდება *საზოგადოებრივ პრაქტიკად*. საზოგადოებრივი მეცნიერება არის საზოგადოებრივი პრაქტიკის

შემეცნებითი მხარე.

საზოგადოებრივი რეალიების მრავალგვარობიდან მეცნიერება გამოყოფს იმას, რაც შეადგენს საზოგადოებრივი ცხოვრების სტრუქტურას. შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების სტრუქტურა – ეს არის ადამიანთა მდგრადი მოთხოვნები. თუ გამოვყოფთ მოსახლეობის ძირითად თანამედროვე პრობლემებს, მივიღებთ *საზოგადოების პრობლემურ სტრუქტურას.* ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ მოსახლეობის სხვადასხვა ნაწილი განიცდის განსხვავებული პრობლემების გავლენას, მაშინ შესაძლოა გამოვყოთ მოსახლეობის ჯგუფები მდგრადი ცხოვრებისეული პრობლემების განსხვავებული ტიპებით.

ერთტიპიური მტკიცე (კანონზომიერად განახლებადი) საზოგადოებრივი პირობებისა და ცხოველქმედების პრობლემების მქონე მოსახლეობის ნაწილი იწოდება *სოციალურ ჯგუფად.*

ცნობილია, რომ საზოგადოება დაყოფილია სოციალურ ჯგუფებად, მათ შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი – *კლასებია.* თითოეულ ჯგუფს თავისი ინტერესები აქვს, რომლებიც შეიძლება ერთმანეთს ემთხვეოდეს ან უპირისპირდებოდეს.

სოციალური ჯგუფების ერთობლიობა – არის *სოციალური სტრუქტურა.* მთავარი აქ არის ჯგუფთა ცხოვრებისეული პრობლემების ერთობლიობა, მათი ინტერესების მსგავსება და განსხვავება, მათი წარმოდგენები სასურველი და არასასურველი ცვლილებების შესახებ, საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი მოქმედებების მიმართულობა და ა.შ.

სოციალური სტრუქტურა – ეს მოსახლეობის კატეგორიების შესახებ მონაცემების სტატისტიკური ნაკრები კი არა, არამედ საზოგადოებრივი ვულკანია, რომელშიც განუწყვეტლივ მიდის სხვადასხვა პროცესები. ძირითადად ის შედარებით მშვიდია, მაგრამ პრინციპში – ფეთქებადი.

ადამიანები და სოციალური ჯგუფები ცხოვრობენ და მოქმედებენ ერთ საზოგადოებაში. აქედან გამომდინარეობს სოციალური ჯგუფების და კლასების ურთიერთობისა და ურთიერთქმედების გარდუვალობა. ასეთ ურთიერთობათა ფორმები მრავალგვარია: სამოქალაქო თანხმობა, პარტნიორობა, კავშირები, კომპრომისები, მშვიდობიანი ინიციატივა, კონფლიქტები, გაფიცვა, ზეწოლა, პიკეტი, ძალადობა, სამოქალაქო ომი და ა.შ. და ყოველივე ეს – *პოლიტიკაა.*

მაშასადამე, პოლიტიკა არის სოციალური ჯგუფების (კლასების) ურთიერთქმედება. ეს განსაზღვრება ყველაზე ზუსტი და საკმაოდ სრულია. არ არსებობს საზოგადოება პოლიტიკის გარეშე.

სოციალური ჯგუფების (კლასების) ურთიერთქმედების ხასიათის (ინტერესების საგნის) მიხედვით განასხვავებენ სხვადასხვა სახის პოლიტიკას: – ეკონომიკური პოლიტიკა, დემოგრაფიული პოლიტიკა, ეკოლოგიური პოლიტიკა, სოციალური პოლიტიკა და ა. შ.

2. სოციალური პოლიტიკა და სოციალური მდგომარეობა

საზოგადოება – ეკონომიკა – სახელმწიფოს მრავალმხრივ ურთიერთობათა სისტემაში *სოციალური პოლიტიკა* ტრადიციულად მაკოორდინირებელ ფუნქციას ასრულებს და სოციალური ცხოვრების რეგულირებას უზრუნველყოფს.[1] ლიტერატურაში გავრცელებული განმარტების თანახმად, ***სოციალური პოლიტიკა არის სოციალური ჯგუფების ურთიერთდამოკიდებულება მთლიანად მოსახლეობისა და მისი შემადგენელი კლასების, ფენების, სოციალური, სოციალურ-დემოგრაფიული, სოციალურ-პროფესიონალური ჯგუფების, სოციალური ერთობების (ოჯახების, ხალხების, დასახლებული ქალაქების, სოფლების, რეგიონების და ა.შ.) სოციალური მდგომარეობის შენარჩუნებისა და შეცვლისათვის.***[2]

მაშასადამე, სოციალური პოლიტიკის მთავარი თემაა მოსახლეობის ამა თუ იმ ნაწილის, მთლიანად მოსახლეობის *სოციალური მდგომარეობა.*

სოციალური მდგომარეობა – ეს არის მთლიანად მოსახლეობის და მისი შემადგენელი ნაწილების ცხოველქმედების ძირითადი, კომპლექსური დახასიათება. *სოციალური მდგომარეობა* ფორმირდება როგორც საზოგადოების სტრუქტურული ნაწილების არსებობისა და განვითარების საზოგადოებრივი პირობების

[1] განსაკუთრებით მნიშვნელოვანია *სოციალური პოლიტიკის* როლი საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში, როდესაც საქართველოში, ისევე როგორც სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, თვისებრივად შეიცვალა როგორც ეკონომიკის, ისე სოციალური სფეროს განვითარების კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური საფუძვლები; ახალი პრინციპებით ყალიბდება მატერიალური დოვლათის ფორმირება-განაწილების, სოციალურ-კულტურული სფეროს დაფინანსების, სოციალური დაცვის და ა.შ. პროცესები.

[2] Волгин Н.А. Социальная политика. Учебник. Под общ. ред. Н.А. Волгина. - М.: Издательство «Экзамен», 2003. - С. 21-22.

შემქმნელი არსებითი ფაქტორების (მიზეზების) სისტემის მოქმედების შედეგი.

სოციალური მდგომარეობის განმაპირობებელ *საზოგადოებრივ პირობებს* შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი:

- საზოგადოებრივი მოწყობა (საზოგადოებრივი წყობა), რომელიც განსაზღვრავს როლებს საზოგადოებაში – ექსპლოატატორები და ექსპლოატირებულები;
- ძალაუფლება საზოგადოებაში, როგორც სოციალური მდგრადობის შენარჩუნების წესი;
- ძალაუფლება მეურნეობაში (საკუთრება);
- საზოგადოების არსებობისა და განვითარების უზრუნველმყოფი ეკონომიკური პირობები;
- ეკოლოგიური უსაფრთხოება;
- სოციალური დაცულობა.

სოციალური მდგომარეობის პარამეტრები – ეს არის სოციალური მდგომარეობის კონკრეტული გამზომები, მისი თვისებრივ-რაოდენობრივი მახასიათებლები, რომელთა სისტემა შესაძლებლობას გვაძლევს სარწმუნოდ და საკმარისი განსაზღვრულობით ვიმსჯელოთ რეალური, პროგნოზირებული თუ პროგრამირებული სოციალური მდგომარეობის შესახებ და კომპლექსურად შევაფასოთ მისი მდგომარეობა.

<u>პრაქტიკული გაგებით,</u> *სოციალური პოლიტიკის* ქვეშ, ჩვეულებრივ, გაგებულია მოსახლეობის ცხოვრების უზრუნველყოფაზე მიმართული ზომებისა და ღონისძიებების ერთობლიობა (სისტემა).

იმისგან დამოკიდებულებით, თუ ვინ არის ამ ზომებისა თუ ღონისძიებების ინიციატორი (სუბიექტი), განასხვავებენ *სოციალური პოლიტიკის* სახეებს: – *სახელმწიფო, რეგიონული, კორპორატიული* და ა.შ. ასეთ ვიწრო ტერმინოლოგიურ მიდგომას აქვს არსებობის უფლება, მაგრამ იგი არ იძლევა სოციალური მოვლენის სიღრმისეული, არსობრივი გაგების შესაძლებლობას.

<u>ფართო გაგებით</u> და მეცნიერული პოზიციიდან, *სოციალური პოლიტიკა* არა იმდენად ზომებისა და ღონისძიებების სისტემაა, რამდენადაც საზოგადოების სოციალურ ჯგუფებს, სოციალურ ფენებს შორის ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთქმედების სისტემა, რომლის ცენტრში იმყოფება და, საბოლოო მიზნად გამოდის ადამიანი, მისი კეთილდღეობა, სოციალური დაცვა და სოციალური განვითარება, მთლიანად მოსახლეობის ცხოვრების უზრუნველყოფა და სოციალური უსაფრთხოება.

სოციალური პოლიტიკა მოიცავს შემდეგ მაჩვენებლებს: დემოგრაფიული, ცხოვრების დონის, მოსახლეობის დასაქმების, შრომის ბაზრის, ჯანმრთელობის, განათლების (მეცნიერების), კულტურის განვითარების, ასევე საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, კრიმინალიზმთან ბრძოლის, ეკოლოგიის გაჯანსაღების, ადამიანის უფლებების დაცვის და სხვა მაჩვენებლებს.[3]

სოციალური პოლიტიკის გატარებისას მნიშვნელოვანია ყველა მიმართულების გათვალისწინება, რათა არც ერთი მათგანი არ დაგვრჩეს ყურადღების მიღმა. მაგალითად, შეუძლებელია ძლიერად და სწორად ჩაითვალოს ისეთი სოციალური პოლიტიკა, რომლის ფარგლებშიც უპირატესობა ენიჭება განათლების, კულტურის და ა.შ. განვითარებას, დასაქმებისა თუ საპენსიო უზრუნველყოფის პრობლემის გადაწყვეტის საზიანოდ.

ზემოაღნიშნული ამტკიცებს *სოციალური პოლიტიკის* პრიორიტეტების წინ წამოწევის მნიშვნელოვანებას განვითარების კონკრეტული ეტაპებიდან და პირობებიდან, რეგიონული თუ კორპორატიული ასპექტებიდან და თავისებურებებიდან გამომდინარე. მაგრამ *სოციალური პოლიტიკის* სისტემურობა და მასშტაბურობა, მისი ობიექტისა და საგნის მაქსიმალურად შესაძლებელი სისრულით გათვალისწინებისას, საზოგადოების სოციალურ ფენებსა და ჯგუფებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ქმედითობისა და შედეგიანობის გარანტია.

სოციალური პოლიტიკა სახელმწიფო (ცენტრალური ხელისუფლების) დონეზე ატარებს, უპირატესად, ჩარჩო, ნორმატიულად-მოცემულ ხასიათს (მუშავდება და გამოიცემა შესაბამისი კანონები, ბრძანებულებები, დადგენილებები და ა.შ.). რეალური, კონკრეტული *სოციალური პოლიტიკა*, როგორც იტყვიან, ხორციელდება კონკრეტულ ადამიანთან პირისპირ, როგორც წესი, მუნიციპალურ (საქალაქო) და კორპორატიულ დონეზე. სწორედ აქ პოულობს იგი თავის საბოლოო ხორცშესხმას და აფიქსირებს თავის შედეგიანობას.

პოლიტიკის არსი საერთოდ და, *სოციალური პოლიტიკის*ა კერძოდ, გამოვლინდება სოციალური სტრუქტურის მდგრადი ელემენტების – სოციალური ჯგუფების ურთიერთდამოკიდებულების მეშვეობით. ასეთი ჯგუფების

[3] Бабашкина А.М. Государственное регулирование национальной экономики. – М., 2003. – С. 98.

მდგრადობა იკვლავწარმოება მათი არსებობისა და განვითარების საზოგადოებრივი პირობების კომპლექსის მოქმედების წყალობით.

სოციალური ჯგუფები, საზოგადოების სტრუქტურული ნაწილები ეჭვგარეშე რეალობაა. ისინი შესაძლოა მოქმედებდნენ ან არ მოქმედებდნენ, ორგანიზდებოდნენ საზოგადოებაში მოქმედებისათვის ან იყვნენ პოლიტიკურად არაორგანიზებულნი. ერთი სიტყვით, ისინი შეიძლება იყვნენ როგორც აქტიური მოქმედი სოციალური ძალები (პოლიტიკის რეალური სუბიექტები), ასევე სოციალური პროცესების პასიური არაორგანიზებული მონაწილენი (პოტენციური, ფორმალური სუბიექტები).

სოციალური პოლიტიკის სუბიექტები არიან რეალურად დამოუკიდებელი და ფაქტიურად მოქმედი სოციალური ჯგუფები და მათი წარმომადგენელი ორგანოები, ორგანიზაციები, ინსტიტუტები, სტრუქტურები. თვით სოციალური ჯგუფების გარდა, პოლიტიკის სუბიექტებს მიეკუთვნებიან მათი ინტერესების წარმომადგენელი სხვადასხვა ორგანიზაციული სტრუქტურები (პროფკავშირები, ასოციაციები, მოძრაობები).

ამრიგად, *სოციალური პოლიტიკა* – ეს არის მრავალგანზომილებიანი პროცესი და სტრუქტურულად რთული მოვლენა. მხოლოდ ერთი-ორი მაჩვენებლითა და კრიტერიუმით (თუნდაც ისეთი ძალიან მნიშვნელოვანით, როგორიცაა ხელფასისა თუ უმუშევრობის დონე) ძნელია რეალური და ამომწურავი შეფასება მივცეთ მის მდგომარეობას. *სოციალური პოლიტიკის ობიექტი* და *საგანი* სწორხაზოვანი კი არა, არამედ მრავალდონიანი და სისტემურია, რის გასაღებსაც იძლევა სოციალურ-შრომითი სფეროს ანალიზი.

3. სოციალურ-შრომითი სფერო როგორც სოციალური პოლიტიკის საფუძველი

გარკვეული გაგებით, *სოციალური პოლიტიკას* საფუძვლად უდევს ***სოციალურ-შრომითი სფეროში (სშს)*** შემავალი ელემენტების, ბლოკებისა და სტრუქტურების ურთიერთდაკავშირებული სისტემა, რომელთა შორისაა: სოციალური სფეროს დარგები (განათლება, ჯანდაცვა, კულტურა, სპორტი, ტურიზმი, საყოფაცხოვრებო-კომუნალური სექტორი და ა.შ.); შრომის ბაზარი, დასაქმება, უმუშევრობა; სოციალური პარტნიორობა; სოციალური დაცვა; შრომის ანაზღაურება და დაცვა; სოციალური დაზღვევა; საპენსიო სისტემა და სხვ.

სოციალურ-შრომითი სფერო (სშს) ასახავს სოციალური პოლიტიკის ობი-ექტს და საგანს, შრომითი და სოციალური ურთიერთობების ერთიანობასა და ურთიერთგანპირობებულობას, ახასიათებს სოციალური განვითარების ხარისხს. პრაქტიკაში შრომითი ურთიერთობები (შრომასა და კაპიტალს, დაქირავებულ მუშაკებსა და დამქირავებლებს შორის) იშვიათად არსებობს წმინდა სახით, სოციალური შემადგენლების გარეშე. და პირიქით, სოციალური ურთიერთობები ხშირად ჩნდებიან შრომითი პროცესების შედეგად.

სოციალურ-შრომითი სფერო საკმაოდ სრულად ასახავს სამუშაო ძალის კვლავწარმოების ყველა ფაზას. გარკვეული პირობითობით, *შრომის ეკონომიკის* ქვეშ (ფართო გაგებით) შეიძლება გაგებულ იქნას სოციალურ-შრომითი სფეროს ეკონომიკა. სოციალურ-შრომითი სფეროს სამაგალითო სტრუქტურა ასახულია **1-ელ სქემაზე.**

სქემის მიხედვით, სოციალურ-შრომითი სფეროს ძირითად ბლოკს, უწინარესად, მიეკუთვნება ის კომპონენტები, რომლებიც ასახავენ და უზრუნველყოფენ სამუშაო ძალის კვლავწარმოების პროცესის ფაზებს:

- სოციალური სფერო, ე.ი. სოციალურ-კულტურული კომპლექსის დარგები (განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, კულტურა და ა.შ.);
- შრომის ბაზარი, დასაქმებისა და კადრების გადამზადების სამსახურები;
- შრომის მწარმოებლურობის მოტივაციის სფერო (შრომის ანაზღაურების ორგანიზაცია, მოსახლეობის ცხოვრების პირობების სტაბილიზაცია და ა.შ.).

შემდეგ ბლოკში შედიან სოციალურ-შრომითი სფეროს ის კომპონენტები, რომლებიც ყალიბდებიან წარმოების საშუალებებთან სამუშაო ძალის შეერთებისათვის პირობების უზრუნველყოფის პროცესში:

- მოსახლეობის სოციალური დაცვის სისტემა;
- სოციალური პარტნიორობის სისტემა;
- სოციალური დაზღვევის სისტემა;
- სოციალური უზრუნველყოფის სისტემა (საპენსიო სისტემა);
- შრომის დაცვის სისტემა და ა.შ.

სოციალურ-შრომითი სფეროს შემადგენელი ნაწილებისა და ელემენტების ანალიზი შესაძლებლობას იძლევა გაკეთდეს დასკვნა იმის თაობაზე, რომ მრავალი მათგანი გადაჯაჭვულია

სქემა 1.1. სოციალურ-შრომითი სფეროს სამაგალითო სტრუქტურა



პრობლემებთან როგორც თეორიული გაგებით, ასევე პრაქტიკული ფუნქციონირების პროცესშიც (რაზეც საუბარი გვექნება შემდგომ თემებში).

4. სოციალური პოლიტიკისა და ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულება

ნებისმიერი დონის სოციალური პოლიტიკის რეალიზაციის ეფექტიანობა დიდადაა დამოკიდებული ეკონომიკის, საბიუჯეტო უზრუნველყოფის, სახელმწიფოსა და საწარმოების ფინანსური რესურსებისაგან.

მართლაც, სათანადო ფინანსური საშუალებების გარეშე რთულია საუბარი განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, საყოფაცხოვრებო-კომუნალური სექტორის, შრომის ბაზრის ადექვატური განვითარების, მოსახლეობის სოციალური დაცვის უზრუნველყოფის შესახებ.

სოციალური სფეროს არადამაკმაყოფილებელი განვითარება, სიღარიბისა და უმუშევრობის ზრდა, სხვა მწვავე სოციალური პრობლემები ძირითადად აიხსნება ეკონომიკური პრობლემებით და ბიუჯეტების საგასავლო ნაწილის ფორმირებაში დაშვებული შეცდომებით.

სწორი მიდგომის შემთხვევაში თვით სოციალურ პოლიტიკას და სოციალურ-შრომით სფეროს (როგორც სოციალური პოლიტიკის საფუძველს) შეუძლია აქტიური გავლენა მოახ-

დინოს ეკონომიკურ ზრდაზე, ფინანსურ ნაკადებზე და საბიუჯეტო პოლიტიკაზე, საზოგადოების მოძრაობის ტრაექტორიაზე პროგრესისაკენ.

მართლაც, ეფექტიანი დასაქმების, შრომის ძლიერი სტიმულების სისტემის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის და ა.შ. ორგანიზაციის გარეშე შეუძლებელია განვითარდეს წარმოება, გაიზარდოს საქონლისა და მომსახურების მოცულობა, სხვა მიკრო- და მაკროეკონომიკური მაჩვენებლები. ეს კი მოითხოვს სოციალურ-შრომითი სფეროსა და სოციალური პოლიტიკისადმი სახელმწიფოს, მისი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების, მეწარმეებისა და მესაკუთრეების მხრიდან შესაბამის ყურადღებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ **ეკონომიკის ეფექტიანობა განსაზღვრავს *სოციალური პოლიტიკის* შინაარსს, პრინციპებს, მიმართულებებს; რაც უფრო მაღალია ეკონომიკური ეფექტიანობა, მით უფრო მყარი საფუძველი იქმნება ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, რაც *სოციალური პოლიტიკის* სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს.**

5. სოციალური საბაზრო ეკონომიკა და სოციალური სახელმწიფო

სოციალური პოლიტიკა მჭიდროდაა დაკავშირებული "სოციალური საბაზრო ეკონომიკის" ცნებასთან. განვიხილოთ, – რა ურთიერთდამოკიდებულებაშია ცნებები "სოციალური საბაზრო ეკონომიკა" და "საბაზრო ეკონომიკა". მარტივი მინიშნება იმის თაობაზე, რომ "სოციალური საბაზრო ეკონომიკის არსი ადამიანზე, მის განვითარებაზე, კეთილდღეობის ამაღლებაზე მიმართულობაშია" – ტრივიალური, ზედაპირული და არაზუსტია. კიდევ უფრო საეჭვოა თეზისი იმის შესახებ, რომ თვით საბაზრო ეკონომიკა ავტომატურად, გარედან ჩარევის გარეშე არეგულირებს მოსახლეობის ცხოვრების დონეს, სოციალური სამართლიანობისა და ეკონომიკური ეფექტიანობის თანაფარდობას.

საბაზრო ეკონომიკა, რომლის მთავარი მიზანი და ამოცანა წარმოების ეფექტიანობისა და მოგების ზრდაშია, წარმოადგენს სოციალური საბაზრო ეკონომიკის გულს. ბუნებრივია, მთავარი მიზნის მიღწევით, საბაზრო ეკონომიკა რაღაცა ზომით წყვეტს ზოგიერთ სოციალურ საკითხს – დასაქმების უზრუნველყოფა, სახელფასო გასაცემლები შრომის შედეგებისათვის და ა.შ. მაგრამ, იგი დაფუძნებულია კონკურენციაზე, და მას საქმე არა აქვს სოციალურ სამართლიანობასთან.

სოციალური სამართლიანობა, სოციალური დაცვა უწინარეს ყოვლისა, უზრუნველიყოფა ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის (შექმნილი დოვლათის გადანაწილება, საგადასახადო პოლიტიკა, სამართლებრივი უზრუნველყოფა და ა.შ.) მეშვეობით. სახელმწიფო თავისი ნებით საბაზრო ეკონომიკას შემოაბრუნებს სახით ხალხის ინტერესებისაკენ და მას ანიჭებს სოციალური საბაზრო ეკონომიკის ხასიათს. ასეთ პირობებში იგი არც თუ იშვიათად ეკონომიკურ ეფექტიანობას წირავს მოსახლეობის სოციალური დაცვის სასარგებლოდ. ეს თეზისი ნათელყოფს ფაქტებს სოციალური საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების (იაპონია, შვეცია) პრაქტიკიდან: შუქნიშნების დამატება ხმოვანი სიგნალიზაციით, სპეციალური ამწეები საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ინვალიდებისათვის და ა. შ.

ამრიგად, სოციალური საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმს წარმოადგენს სოციალური დაცვის, სოციალური სამართლიანობის პრიორიტეტი ეკონომიკურ ეფექტიანობაზე, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, უზრუნველიყოფა სახელმწიფო სოციალური პოლიტიკის რეალიზაციის პროცესში.

თანამედროვე მსოფლიოში გაძლიერდა ინტერესი სოციალური პრობლემების მიმართ, ზოგიერთ ქვეყანაში სოციალური პასუხისმგებლობა კონსტიტუციურად განმტკიცდა და განსაკუთრებული ტიპის – ***სოციალური სახელმწიფოს*** სტატუსით განისაზღვრა.

მეცნიერებაში პირველად ცნება *"სოციალური სახელმწიფო"* გამოიყენა გერმანელმა ეკონომისტმა *ლ. შტეინმა*. ნიშანდობლივია, რომ მისი თეორია გერმანიაში წარმოიშვა XIX საუკუნის მეორე ნახევარში კაპიტალიზმის განვითარებისა და კლასობრივი ბრძოლის ანალიზის შედეგად. მეცნიერის აზრით, სახელმწიფოს იდეა მდგომარეობს თავისუფლებისა და თანასწორობის აღდგენაში, ქვედა, გაღატაკებული ფენების ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებაში. ყველა მოქალაქე თანაბრად უნდა ეზიაროს საზოგადოებრივ და ეკონომიკურ პროგრესს, რამდენადაც თითოეულის განვითარება სხვა დანარჩენის განვითარების წინაპირობასა და შედეგს წარმოადგენს. *ლ. შტეინი* ასეთ სახელმწიფოს საზოგადოებრივს ანუ სოციალურს უწოდებდა.

ბურჟუაზიული სახელმწიფოს საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოდ გარდაქმ-

ნის კონცეფცია 1879 წელს გერმანელმა ეკონომისტმა ა. *ვაგნერმა* წამოაყენა. შემდგომ პერიოდში, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ევროპის რიგ ქვეყნებში ფართოდ გავრცელდა სოციალური ტიპის სახელმწიფოების კონსტიტუციური აღიარება. პირველად, გფრ 1949 წელს გამოცხადდა "დემოკრატიულ და სოციალურ ფედერაციულ სახელმწიფოდ". 1958 წელს საფრანგეთმა გამოაცხადა, რომ იგი სოციალური, დემოკრატიული რესპუბლიკაა. სოციალურ სახელმწიფოდ დღეს აღიარებულია იტალია, ესპანეთი, პორტუგალია, შვედეთი, რუმინეთი, პოლონეთი, რუსეთი.

საქართველომ გააკეთა თავისი არჩევანი და 1995 წლის კონსტიტუციის პრეამბულაში ჩაიწერა, რომ საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნებაა დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო".[4] ამით გაცხადდა, რომ ქართული სახელმწიფო განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას იღებს ქვეყნის მოსახლეობის სოციალური დაცვისათვის.

სოციალური სახელმწიფოები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ შემდეგი *ძირითადი მიმართულებებით:* ქვეყნის სოციალური მეურნეობის მდგრადი განვითარება; მოსახლეობის რეალური მონაწილეობა წარმოების, მომსახურების სფეროს, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების მართვაში; დამსაქმებლისა და დასაქმებულის ინტერესების სასარგებლოდ სატარიფო პოლიტიკის გატარება; სოციალური სფეროს დარგების – განათლების, მეცნიერების, ჯანმრთელობის, კულტურის დაცვა; იმ პირების დაცვა, რომელთაც არ შეუძლიათ დამოუკიდებელი არსებობა; თითოეული მოქალაქისათვის თვითრეალიზაციის თანაბარი შესაძლებლობების შექმნა; შემოსავლების სამართლიანი განაწილებისა და მოქალაქეთა სოციალური სოლიდარობის პოლიტიკის გატარება; აქტიური სოციალური პოლიტიკისა და სოციალური პარტნიორობის განხორციელება და სხვ.

სოციალური პოლიტიკის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია ის, რომ საზოგადოების ცხოვრების ძირითადი მახასიათებლები თვისებრივად იცვლება თვით საზოგადოების ინტენსიური განვითარების კვალობაზე. ამ პროცესის წარმართვა დამოკიდებულია იმაზე, თუ საზოგადოება რამდენად მზადაა კომპლექსურად განახორციელოს ინოვაციები მაგალითად, ეკონომიკაში, მეცნიერებაში, მართვაში, სოციალურ სფეროში, კანონმდებლობაში და ა.შ.

ანგარიშგასაწევია განვითარების სოციალური განზომილების მზარდი ტენდენცია, რომელიც XX საუკუნეში რეალურად ჩამოყალიბდა და ადასტურებს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების ერთიანობას, მათი ურთიერთგანპირობებულობის მაღალ ხარისხს.

თანამედროვე პირობებში *სოციალური პოლიტიკის* განსაზღვრისას აუცილებელია დავიცვათ *რამდენიმე პრინციპული მოთხოვნა.*

პირველი, მსოფლიოში მიმდინარე პროცესების, ჩამოყალიბებული ტენდენციებისა და თავისებურებების ანალიზი და, ადგილობრივი პირობების შესაბამისად, მათი გათვალისწინება. საქართველოსათვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს ევროკავშირის ქვეყნებში *სოციალური პოლიტიკის* ფორმირება-განხორციელების მდიდარი გამოცდილების შესწავლას.

მეორე, თანამედროვე პირობებში *სოციალური პოლიტიკა,* როგორც ასეთი, მოწოდებულია არა მარტო ტრადიციული ხერხებით მიუდგეს მწვავე სოციალური პრობლემების გადაწყვეტას, განმუხტოს არახელსაყრელი პოლიტიკური და სოციალური სიტუაციები, არამედ შეიმუშაოს და განახორციელოს პრევენციული ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოების კონსოლიდაციას, ქვეყნის უსაფრთხო და მდგრად განვითარებას.

მესამე, *სოციალურ პოლიტიკაში* ამოსავალი საწყისი სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფაა. სოციალური სამართლიანობა არ ნიშნავს შემოსავლების განაწილების გათანაბრებითი სისტემის გამოყენებას. პირიქით, იგი გულისხმობს ყველა მოქალაქისათვის თანაბარი სასტარტო შესაძლებლობების შექმნას.

სოციალურ პოლიტიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ადამიანის ეკონომიკური აქტიურობის ამაღლების ყოველმხრივ სტიმულირებას, რათა მან შეძლოს საკუთარი უნარის მაქსიმალურად გამოვლენა და საკუთარი შრომით ცხოვრების მაღალი დონის მიღწევა. ეს რთული პროცესია, მითუმეტეს, გარდამავალ პერიოდში, როცა იმსხვრევა არსებული სტერეოტიპები, თვისებრივად იცვლება საზოგადოებრივი ცნობიერება. ალტერნატიული მიდგომების მრავალფეროვნებაში ადამიანებს უჭირთ საქმიანობის სწორად განსაზღვრა.

გარდამავალ პერიოდში, თითქმის ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში, განსაკუთრებით

[4] საქართველოს კონსტიტუცია. – თბილისი, 1995 წლის 24 აგვისტო// http://codex.ge/1055.

საქართველოში, აღინიშნა სხვის ხარჯზე ცხოვრების ფსიქოლოგიის უპირატესად დამკვიდრების პროცესი, მაშინ, როცა ექსტრემალურ პირობებში აუცილებელია ქვეყნის მატერიალური, მორალური, ინტელექტუალური პოტენციალის მაქსიმალურად ამოქმედება, ადამიანების ბეჯითი და ეფექტიანი შრომა, პროფესიული ცოდნა, მაღალი ზნეობრიობა, პასუხისმგებლობა და სხვ.

მეოთხე, გარდამავალმა პერიოდმა გვიჩვენა, რომ აუცილებელია ქვეყანაში შეიქმნას ფასეულობის ინტეგრალური სისტემა, რათა თავიდან ავიცილოთ ცალკეული დოგმების (სტერეოტიპების) გავლენით რომელიმე ფასეულობაზე (თუნდაც მხოლოდ დასავლურზე) ცალმხრივი ორიენტაცია. *სოციალური პოლიტიკა* მაქსიმალურად უნდა იყოს ორიენტირებული ეკონომიკურ ეფექტიანობაზე. მხოლოდ ასეთ პირობებშია შესაძლებელი ეფექტიანობისა და სოციალური სამართლიანობის ურთიერთგანპირობებულობის პრინციპების განუხრელად დაცვა, რაც უზრუნველყოფს მყარი მატერიალური, ორგანიზაციული და ფსიქოლოგიური პირობების შექმნას, მთლიანად საზოგადოების (და არა მხოლოდ მისი გამორჩეული ნაწილის) კეთილდღეობას.

მეხუთე, ნორმალურად განვითარებად ეკონომიკაში სახელმწიფოსა და მოსახლეობას შორის ორმხრივი ურთიერთობა ყალიბდება. ჯერ ერთი, მოსახლეობა ურთიერთობების აქტიური სუბიექტია – იგი ფლობს საკუთრებას, შრომობს, ქმნის მშპ-ს და საკუთარ შემოსავლებს, იხდის გადასახადებს, ყიდულობს საქონელს და ა.შ. მეორე მხრივ, მოსახლეობა სახელმწიფოს ფუნქციების ობიექტიცაა, რომელსაც თანამედროვე პირობებში აღნიშნავენ ცნებით – "სოციალური დაცვა". ამ ტერმინის ქვეშ იგულისხმება სახელმწიფოს პოლიტიკა ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური უფლებებისა და გარანტიების უზრუნველსაყოფად.

საზოგადოებრივი ცხოვრება რთულია, იგი მრავალ სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორთა გავლენით მიმდინარეობს. ადამიანი მუდმივად განიცდის გარემოს გავლენას, ხვდება ნეგატიურ სიტუაციებში, დიდია რისკის ალბათობა.

მასთან, ცნობილია ისეთი ფაქტორებიც, რომლებიც გარდაუვალობით ხასიათდება (მაგალითად, სიბერე, ავადმყოფობა და ა.შ). საზოგადოებაში ყოველთვის შეიძლება წარმოიშვას სამუშაო ადგილის დაკარგვის რისკი, დანაშაულის ხელშემწყობი გარემო და ა.შ. ასეთ პირობებში სახელმწიფოს ამოცანაა ხელი შეუწყოს არსებული ნეგატიური სიტუაციების შერბილებას.

აქედან გამომდინარეობს, რომ **"სოციალური დაცვა" არის სახელმწიფოს პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის უფლებებისა და გარანტიების უზრუნველყოფას ცხოვრების დონის სფეროში: შრომის უფლება; სოციალური უზრუნველყოფა; დასაქმებაში, ჯანმრთელობის დაცვაში, განათლების მიღებაში მხარდაჭერა და ა.შ.**[5]

სახელმწიფოს *სოციალური პოლიტიკის* ძირითადი რგოლია ხელფასი, დასაქმება, ტრანსფერი, ე.ი. საბოლოო ანგარიშით მოსახლეობის შემოსავლები. წარმოების გასაფართოებლად საჭიროა გადახდისუნარიანი მოთხოვნილება. ფულადი შემოსავლები ძირითადად განისაზღვრება ხელფასით რეალურ სექტორსა და საბიუჯეტო სფეროში, ასევე პენსიებით და სხვა წყაროებით.

ამრიგად, სახელმწიფოს *სოციალური პოლიტიკა* ორიენტირებული უნდა იყოს მოსახლეობის რეალური შემოსავლების განუხრელ ზრდაზე. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება შეიქმნას მატერიალური საფუძველი სოციალური დაცვის უზრუნველსაყოფად.

დღეს საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებულია ტერმინი **"ძლიერი სოციალური პოლიტიკა".** იგი ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო, სამოქალაქო საზოგადოების სხვა სუბიექტებთან ერთად, შეიმუშავებს *სოციალურ პოლიტიკას,* და მისი პრაქტიკული განხორციელებით აღწევს დასახულ მიზანს. ძლიერი *სოციალური პოლიტიკის* ანტიპოდია – პასიური პოლიტიკა, როცა სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს თავისი კონსტიტუციური ფუნქციების შესრულებას და ურიგდება ცხოვრების დონის მკვეთრად დაცემის ტენდენციებს.

სოციალური პოლიტიკის ეფექტიანობის განსაზღვრისათვის გამოიყენება სხვადასხვა ინდიკატორი (მაჩვენებელი). მაგალითად, საერთაშორისო ინდიკატორად მიჩნეულია **ჰუმანური განვითარების ინდექსი.**[6] ძირითად მაჩვენებლებად კი აღიარებულია:

- ცხოვრების დონის მაჩვენებლები (შემოსავლების დიფერენციაციის დეცილური კოეფიციენტი, ჯინის ინდექსი, სიღარიბისა და სიმდიდრის ზღვარი, მოთხოვ-

[5] Государственное регулирование рыночной экономики. Учебник. Под общей ред. Кушлина В.И., Волгина Л.И. – М., 2001. - С. 646.

[6] იგი სამი ძირითადი მაჩვენებლით იანგარიშება: სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, განათლების დონე და მშპ-ის მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე.

ნილებათა დაკმაყოფილების ხარისხი, შემოსავლებისა და გასავლების სტრუქტურა);

- მინიმალური სახელმწიფო სტანდარტები (საარსებო მინიმუმი, მინიმალური ხელფასი და სხვ.);
- სოციალურ-დემოგრაფიული მაჩვენებლები (სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, დაავადებების დინამიკა, შობადობისა და მოკვდაობის მაჩვენებლები);
- მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობის მაჩვენებლები (დასაქმებულთა თანაფარდობა ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში, დასაქმებისა და უმუშევრობის დონე, თვითდასაქმება, მოსახლეობის მიგრაცია);
- სოციალური დაძაბულობის მაჩვენებლები (მონაწილეობა პოლიტიკურ ღონისძიებებში, გაფიცვებში, დანაშაულის დინამიკა და სხვ.);
- სოციალური სფეროს განვითარების მაჩვენებლები (რეგიონის საბიუჯეტო უზრუნველყოფის დონე, არასაბიუჯეტო სოციალური ფონდები, ფასიანი, შეღავათიანი და უფასო მომსახურების თანაფარდობა);
- მშპ-ში გარემოს დაცვაზე გაწეული ხარჯების წილი.[7]

ჰუმანური განვითარების ინდექსის ერთერთი არსებითი უპირატესობა ისაა, რომ იგი იძლევა საშუალებას გათვალისწინებულ იქნეს სხვა ქვეყნების განვითარების მაჩვენებელიც და, შესაბამისად, განისაზღვროს ქვეყნის განვითარების პერსპექტივა. გაეროს განვითარების პროგრამის შესაბამისად, 174 ქვეყანაში ჩატარებული გამოკვლევებით დადგინდა, რომ **ჰუმანური განვითარების ინდექსის მიხედვით მსოფლიოში პირველ ადგილზე კანადა იყო.** შემდეგ თანმიმდევრულად – ნორვეგია, აშშ, ავსტრალია, ისლანდია, შვედეთი, ბელგია, ჰოლანდია, იაპონია და სხვები. მიჩნეულია, რომ ქვეყანა, სადაც ინდექსი 0,500-ზე ნაკლებია, განვითარების დაბალ დონეზე იმყოფება; 0,500 – 0,799-მდე ინდექსი ქვეყნის განვითარების საშუალო დონის, ხოლო 0,800-ზე მეტი – განვითარების მაღალი დონის მაჩვენებელია.

XXI საუკუნის დასაწყისის საქართველოში ჰუმანური განვითარების ინდექსმა 0,762 შეადგინა. ამ მაჩვენებლით საქართველო განვითარების საშუალო დონის ქვეყნების ჯგუფშია შეყვანილი. 2012 წელს ამ მაჩვენებლით საქართველო მსოფლიოში 96-ე ადგილზეა, მაშინ როცა, 1997 წელს 82-ე ადგილზე იყო. აღსანიშნავია, რომ 1997 წელს საქართველო ამ მაჩვენებლით წინ უსწრებდა რუსეთს, თურქეთს, სომხეთს და აზერბაიჯანს, 2012 წელს საქართველო ჩამორჩა სომხეთს, რუსეთს და უკრაინას.[8]

ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ეტაპების მიხედვით განისაზღვრება სოციალური განვითარების პრიორიტეტები. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომლის გადაწყვეტა მიჩნეულია სახელმწიფო პოლიტიკის მთავარ ამოცანად. გარდამავალ პერიოდში პოსტსოციალისტური ქვეყნებისათვის დამახასიათებელია ***სოციალური პოლიტიკის* შემდეგი ძირითადი მიზნები** (სოციალური პრიორიტეტები): მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესება; მოსახლეობის დასაქმების უზრუნველყოფა, სამუშაო ძალის კონკურენტუნარიანობის ამაღლება; შრომაში, სოციალურ დაცვაში, განათლებაში, ჯანმრთელობის დაცვაში, საცხოვრებელი პირობების შექმნაში მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების გარანტიები; სოციალური პოლიტიკის ორიენტაცია ოჯახზე; ქალების, ბავშვების სოციალური გარანტიების უზრუნველყოფა; დემოგრაფიული მდგომარეობის ნორმალიზაცია, მოკვდაობის მაჩვენებლების შემცირება; სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სხვ.[9]

თანამედროვე ეტაპზე **საქართველოში სოციალური პოლიტიკის უმთავრეს ამოცანად აღიარებულია სიღარიბის შემცირება მშპ-ს დაჩქარებული ზრდის ხარჯზე. ამ ამოცანის გადაწყვეტის რთული პროცესი მრავალი ფაქტორის გავლენას განიცდის, ამიტომ განვითარების ეტაპების მიხედვით მოითხოვს ზრდის ორიენტაციის დაკონკრეტებას და რეგულირების შესაბამისი მექანიზმების ამოქმედებას. სწორედ ამ სიბრტყეზე უნდა იქნას განხილული, რეალური მდგომარეობისა და სტრატეგიული მიზნის შესაბამისად, ეკონომიკური განვითარების სოციალური მიმართულების კონკრეტული ფორმის (მასშტაბის) შერჩევის საკითხი.** ეს ურთულესი ამოცანა საჭიროებს ბიზნესის, სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფოს შეთანხმებულ მოქმედებას.

[7] Курс переходной экономики. Под ред. Абалкина Н.А. – М., 2001. - С. 477.

[8] ჭითანავა ნ., თაკალანძე ლ. სოციალური ეკონომიკა: ფორმირება და განვითარება (ნაწილი I). - თბილისი, 2008. – გვ. 119.

[9] Курс переходной экономики. Под ред. Абалкина Н.А. – М., 2001. - С. 482.

სოციალური პოლიტიკის პრიორიტეტების განსაზღვრის კონტექსტში მიზანშეწონილია აღინიშნოს, რომ თანამედროვე პირობებში საქართველოში (ისევე, როგორც სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში) სოციალური ამოცანები განვითარების, უფრო სწორად კრიზისიდან გამოსვლის დაჩქარების პრიორიტეტებს წარმოადგენენ.

ბუნებრივია, **სახელმწიფოს არ გააჩნია მატერიალური და ორგანიზაციული პოტენციალი ერთბაშად და ერთდროულად გადაწყვიტოს ყველა დეკლარირებული სოციალური ამოცანა. ამიტომ მიმართავენ ტრადიციულ ხერხს: – განისაზღვრება განვითარების პრიორიტეტები, შემუშავდება პროგრამები.** მაგრამ დასახული ამოცანები სათანადო ფინანსური და ორგანიზაციული უზრუნველყოფის გარეშე ხშირად განუხორციელებელი რჩება, საზოგადოება კი მუდმივად სტრესის ქვეშ იმყოფება.

ამ თვალსაზრისით, საქართველოს მწარე გამოცდილება აქვს. როგორც საბჭოთა პერიოდში, ისე ქვეყნის განვითარების გარდამავალ ეტაპზე მიღებული სოციალური და ეკონომიკური პროგრამები, როგორც წესი, არ შესრულებულა. მაგალითად, 1 მლნ სამუშაო ადგილის შექმნის, სიღარიბის დაძლევის და სხვა მწვავე სოციალური პრობლემების გადასაწყვეტად სხვადასხვა დროს მიღებული პროგრამების თუ დეკლარირებული ვალდებულებების შესრულება სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო, თუმცა მას, კონსტიტუციით, სოციალური სახელმწიფოს ფუნქციების შესრულება აქვს დაკისრებული.

6. საკონტროლო დავალებები და ამოცანები თვითშემოწმებისათვის

1. ახსენით, რა არის ზოგადად პოლიტიკა და, კერძოდ, სოციალური პოლიტიკა.

2. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები და დაასრულეთ შემდეგი განსაზღვრება:

სოციალური მდგომარეობის პარამეტრები არის …….. *(როგორი?)* მდგომარეობის კონკრეტული …….. *(რა?)*, მისი თვისებრივ-რაოდენობრივი …….. *(რა?)*, რომელთა სისტემა …….. *(რას?)* გვაძლევს სარწმუნოდ და საკმარისი განსაზღვრულობით …….. რეალური, პროგნოზირებული თუ …….. *(როგორი?)* სოციალური მდგომარეობის შესახებ და …….. *(როგორ?)* შევაფასოთ მისი …….. *(რა?)*.

3. განმარტეთ სოციალური პოლიტიკის არსი და ჩამოთვალეთ მისი ძირითადი მაჩვენებლები.

4. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები და დაასრულეთ შემდეგი განსაზღვრება:

ფართო გაგებით, სოციალური პოლიტიკა არის …… *(ვისი?)* სოციალურ ჯგუფებს, …… *(რომელ?)* ფენებს შორის …….. *(რისი?)* და …… *(რისი?)* სისტემა, რომლის ცენტრში …….. და, საბოლოო მიზნად გამოდის …….. *(ვინ?)*, მისი …….. *(რა?)*, სოციალური დაცვა და …….. *(როგორი?)* განვითარება, მთლიანად …….. *(ვისი?)* ცხოვრების უზრუნველყოფა და სოციალური …….. *(რა?)*.

5. ახსენით, რა არის სოციალური მდგომარეობა, მისი პარამეტრები და ჩამოთვალეთ სოციალური მდგომარეობის განმაპირობებელი საზოგადოებრივი პირობები.

6. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები და დაასრულეთ შემდეგი განსაზღვრება:

სოციალური პოლიტიკა არის …… …… *(ვისი?)* ურთიერთდამოკიდებულება …… მოსახლეობისა და მისი …… კლასების, ფენების, სოციალური, სოციალურ-დემოგრაფიული, სოციალურ-პროფესიონალური ……, სოციალური …… (ოჯახების, ხალხების, დასახლებული ქალაქების, სოფლების, რეგიონების და ა.შ.) სოციალური მდგომარეობის …… *(რისთვის?)* და …… *(რისთვის?)*.

7. ხაზგასმით მონიშვნის გზით დაადასტურეთ, სწორი და ზუსტია თუ არა ქვემოჩამოთვლილი მტკიცებულებები:

ა. სოციალური პოლიტიკა – ეს არის მოსახლეობის სოციალურად სუსტი ფენებისადმი დახმარების ზომები *(არასწორია, სწორი მაგრამ არაზუსტია, სწორი და ზუსტია)*;

ბ. სოციალური პოლიტიკა – ეს არის სახელმწიფოს პოლიტიკა სოციალურ სფეროში *(არასწორია, სწორი მაგრამ არაზუსტია, სწორი და ზუსტია)*;

გ. სოციალური პოლიტიკა – ეს არის საზოგადოებრივი პირობებისა და ცხოველქმედების პრობლემების მქონე მოსახლეობის ნაწილი *(არასწორია, სწორი მაგრამ არაზუსტია, სწორი და ზუსტია)*;

დ. სოციალური პოლიტიკა – ეს არის სოციალური ჯგუფების ერთობლიობა *(არასწორია, სწორი მაგრამ არაზუსტია, სწორი და ზუსტია)*;

ე. მოსახლეობის ცხოვრების უზრუნვე-

ლყოფაზე მიმართული ზომებისა და ღონისძიებების ერთობლიობა *(არასწორია, სწორი მაგრამ არაზუსტია, სწორი და ზუსტია).*

8. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები და დაასრულეთ შემდეგი წინადადება:
პოლიტიკის არსი ..... და, *სოციალური პოლიტიკისა* ....., გამოვლინდება ..... *(როგორი?)* სტრუქტურის ..... *(როგორი?)* ელემენტების – სოციალური ..... ურთიერთდამოკიდებულების მეშვეობით.

9. ჩამოთვალეთ სოციალურ-შრომითი სფეროს ის ძირითადი კომპონენტები, რომლებიც ასახავენ და უზრუნველყოფენ სამუშაო ძალის კვლავწარმოების პროცესის ფაზებს.

10. დაასაბუთეთ თქვენი თვალსაზრისი იმის თაობაზე, თუ რომელი ცნებაა უფრო ფართო – "სოციალურ-შრომითი სფერო" თუ "სოციალური სფერო"; ჩამოთვალეთ და გაანალიზეთ მათი შინაარსობრივი მსგავსებისა და არსობრივი განსხვავების ნიშნები.

11. ჩამოთვალეთ სოციალურ-შრომითი სფეროს ის კომპონენტები, რომლებიც ყალიბდებიან წარმოების საშუალებებთან სამუშაო ძალის შეერთებისათვის პირობების უზრუნველყოფის პროცესში.

12. დაახასიათეთ სოციალურ-შრომითი სფერო, როგორც სოციალური პოლიტიკის საფუძველი.

13. დაასაბუთეთ კავშირი ეკონომიკას, ეკონომიკურ პოლიტიკასა და სოციალურ პოლიტიკას შორის.

14. ჩამოთვალეთ სოციალურ სახელმწიფოთა საქმიანობის ძირითადი მიმართულებები.

15. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები და დაასრულეთ შემდეგი წინადადება:
სოციალური სახელმწიფოები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ შემდეგი ..... მიმართულებებით: ქვეყნის სოციალური ..... *(რისი?)* მდგრადი ..... *(რა?)*; მოსახლეობის ..... *(როგორი?)* მონაწილეობა ..... *(რის?)*, მომსახურების სფეროს, ... *(როგორი?)* და სახელმწიფოებრივი ..... *(რის?)* მართვაში; ..... *(ვისი?)* და დასაქმებულის ..... *(რის?)* სასარგებლოდ სტარიფო ..... *(რისი?)* გატარება; ..... *(როგორი?)* სფეროს დარგების – განათლების, ... *(რისი?)*, ჯანმრთელობის, კულტურის ..... *(რა?)*; იმ პირების ..... *(რა?)*, რომელთაც ... შეუძლიათ ..... *(როგორი?)* არსებობა; თითოეული ..... *(ვისი?)* თვითრეალიზაციის ..... *(როგორი?)* შესაძლებლობების შექმნა; შემოსავლების ..... *(როგორი?)* განაწილებისა და ..... *(ვისი?)* სოციალური სოლიდარობის ..... *(რისი?)* გატარება; ..... *(როგორი?)* სოციალური ..... *(რისი?)* და სოციალური ..... *(რისი?)* განხორციელება და სხვ.

16. ჩამოწერეთ და ურთიერთშედარების გზით დაახასიათეთ საკვანძო მიზნები, ამოცანები, პრინციპები და კრიტერიუმები:

ა. სოციალური სახელმწიფოსი;

ბ. სოციალური საბაზრო ეკონომიკისა;

გ. საბაზრო ეკონომიკისა.

17. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები და დაასრულეთ შემდეგი წინადადება:

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის თანახმად, ... *(ვისი?)* მოქალაქეთა ..... *(როგორი?)* ნებაა დაამკვიდრონ ..... *(როგორი?)* საზოგადოებრივი წესწყობილება, ... *(როგორი?)* თავისუფლება, ... *(როგორი?)* და ..... *(როგორი?)* ....*(რა?)*.

18. ჩამოთვლის წესით დაახასიათეთ თანამედროვე პირობებში სოციალური პოლიტიკის განსაზღვრისას დასაცავი აუცილებელი პრინციპული მოთხოვნები.

19. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები და დაასრულეთ შემდეგი წინადადება:

სოციალურ პოლიტიკაში ამოსავალი საწყისი ..... *(როგორი?)* სამართლიანობის უზრუნველყოფაა. ..... *(როგორი?)* ..... *(რა?)* არ ნიშნავს ..... *(რისი?)* განაწილების ..... *(როგორი?)* სისტემის გამოყენებას. პირიქით, ... გულისხმობს ყველა ..... *(ვისთვის?)* თანაბარი ..... *(როგორი?)* სასტარტო შესაძლებლობების .....*(რას?)*.

20. ახსენით, რით განსხვავდება ძლიერი სოციალური პოლიტიკა პასიური სოციალური პოლიტიკისაგან.

21. ჩამოთვალეთ სოციალური პოლიტიკის ეფექტიანობის განმსაზღვრელი ძირითადი მაჩვენებლები.

22. ჩამოთვალეთ გარდამავალ პერიოდში პოსტსოციალისტური ქვეყნებისათვის დამახასიათებელი სოციალური პოლიტიკის ძირითადი მიზნები (სოციალური პრიორიტეტები).

7. რეკომენდებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია. – თბილისი, 1995 წლის 24 აგვისტო// http://codex.ge/1055.

2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. – თბილისი, 1997 წლის 26 ივნისი. N786 – IIბ // http://codex.ge/2790.

3. საქართველოს ორგანული კანონი "საქართველოს შრომის კოდექსი". – თბილისი, 2010 წლის 17 დეკემბერი. №4113-რს // http://codex.ge/152.

4. საქართველოს კანონი "თავისუფლების ქარტია". - თბილისი, 2011 წლის 31 მაისი. №4717-Iს //http://codex.ge/2946.

5. საქართველოს კანონი "სოციალური დახმარების შესახებ". – თბილისი, 2006 წლის 29 დეკემბერი. №4289–რს // http://codex.ge/1389.

6. საქართველოს კანონი "დაზღვევის შესახებ". – თბილისი, 1997 წლის 2 მაისი. N 690 – IIს // http://codex.ge/1412.

7. საქართველოს კანონი "გენდერული თანასწორობის შესახებ". – 2010 წლის 26 მარტი. N 2844 – Iს // http://codex.ge/1070.

8. ევროპის სოციალური ქარტია. – თბილისი, 2010.

9. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი//მიღებულია და ღიაა ხელმოსაწერად, სარატიფიკაციოდ და მისაერთებლად გენერალური ასამბლეის 1966 წლის 16 დეკემბრის 2200 (XXI) რეზოლუციით. - ძალაშია 1976 წლის 3 იანვრიდან, 27-ე მუხლის შესაბამისად.

10. ჭითანავა ნ., თაკალანძე ლ. სოციალური ეკონომიკა: ფორმირება და განვითარება (ნაწილი I). - თბილისი, 2008, გვ. 103-121.

11. Бабашкина А.М. Государственное регулирование национальной экономики. – М., 2003.

12. Волгин Н.А. Социальная политика. Учебник. Под общ. ред. Н.А. Волгина. - М.: Издательство «Экзамен», 2003, с. 8-37.

13. Государственное регулирование рыночной экономики. Учебник. Под общей ред. Кушлина В.И., Волгина Л.И. – М., 2001.

14. Курс переходной экономики. Под ред. Абалкина Н.А. – М., 2001.

15. Социальная политика: Толковый словарь / Общ. ред. Н.А. Волгина, отв. ред. Б.В. Ракитский. М., 2002.